სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

29 ნოემბერი, 2023 წ.

ბრძანება N 01-02/224

„მწვანე სტიპენდიის“ მიმღებ ბსუ-ს ეკოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა შერჩევის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, „ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის N07-01/58 გადაწყვეტილების, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს“ (შემდგომში - „ცენტრი“) და ბსუ-ს შორის 2022 წლის 22 ივლისს დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის და ამავე მემორანდუმის 2.1. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად 2023 წლის 21 ნოემბერს გაფორმებული „**მწვანე სტიპენდიის დაფინანსების ხელშეკრულების**“ საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „მწვანე სტიპენდიის“ მიმღები ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 2 სტუდენტის შერჩევა განხორციელდეს 2023 წლის 30 ნოემბერს, სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან“ გაფორმებული „მწვანე სტიპენდიის დაფინანსების ხელშეკრულების“ შემდეგი პირობების შესაბამისად:

   ა) კანდიდატს ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის პროცესში დაგროვებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 30 (ორმოცდახუთი)კრედიტი და მისი საშუალო სარეიტინგო ქულა არ უნდა იყოს 81-ზე ნაკლები;

   ბ) 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შესაბამის კანდიდატს უნდა ჰქონდეს აქტიური სტუდენტის სტატუსი

   გ) კანდიდატმა უნდა წარუდგინოს ფაკულტეტის დეკანს, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის სარეკომენდაციო წერილი;

   დ) უპირატესობა მიენიჭოს იმ კანდიდატს, რომელსაც აქვს ყველაზე მაღალი სარეიტინგო ქულა და წარდგენილი აქვს სამეცნიერო ნაშრომი საუნივერსიტეტო/სტუდენტურ კონფერენციებზე.

2. **ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტმა წინამდებარე ბრძანების აღსრულებისათვის უზრუნველყოს:**

   ა) „მწვანე სტიპენდიის“ შესარჩევი პროცესის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება სავარაუდო კანდიდატებისათვის/სტუდენტებისათვის, მათ მიერ ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა-დ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენის მიზნით;

   ბ) „მწვანე სტიპენდიის“ მიმღები სტუდენტების შერჩევა (ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით შეიქმნას შესარჩევი კომისია) შერჩევის შედეგების შესახებ სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა - **არაუგვიანეს 2023 წლის 30 ნოემბრისა;**

გ) სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის' ინფორმირება „მწვანე სტიპენდიის" მიმღები სტუდენტების შერჩევის საფუძველზე გამოცემული სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების შესახებ, ასევე ცენტრის მიერ ჩამორიცხული თანხის შესაბამისი სტუდენტებისათვის მწვანე სტიპენდიის ჩარიცხვის თაობაზე ინფორმაციის და დოკუმენტაციის წარდგენა.

3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის მიერ შერჩეულ კანდიდატებს **„მწვანე სტიპენდია"** დაენიშნოთ **<u>არაუგვიანეს 2023 წლის 01 დეკემბრისა.</u>**
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე და ვებგვერდზე (ველში „კონკურსები", „ფაკულტეტის სიახლეები").
5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიურ სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**

სსიპ გარემოსდაცვითი
ინფორმაციისა და
განათლების ცენტრი

ბსუ
BSU

ხელშეკრულება „მწვანე სტიპენდიის“ პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი 21 ნოემბერი, 2023 წელი

ერთი მხრივ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“ (შემდგომში - „ცენტრი“), წარმოდგენილი დირექტორის, **თამარ ალადაშვილის** მიერ და მეორე მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“), წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ **მერაბ ხალვაშის** მიერ, ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „მხარეები“, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება:

ცენტრი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“.
უნივერსიტეტი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
სტუდენტი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ სამაგისტრო პროგრამაზე **(ეკოლოგია)** ჩარიცხული, აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე პირი;
სტიპენდია - გარემოსდაცვითი დეფიციტური პროფესიების ხელშეწყობის მიზნით გამოყოფილი „მწვანე სტიპენდია“, სტუდენტზე 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით (საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის ჩათვლით);
კონკურსი - "მწვანე სტიპენდიის“ მისაღებად „უნივერსიტეტის“ მიერ დადგენილი წესის შესაბამისად გამოცხადებული შესარჩევი ეტაპი

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

გარემოსდაცვითი დეფიციტური პროფესიების ხელშეწყობის მიზნით, „მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემის გაფართოება და კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოყენება საქართველოში“ და ,,თემების გაუმჯობესებული მედეგობა კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების მიმართ“ პროექტის ფარგლებში, ცენტრის მიერ უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის **2 (ორი)** სტუდენტზე სტიპენდიის დაწესების მიზნით, წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლში მითითებულ უნივერსიტეტის ანგარიშზე **3 000** (სამი ათასი) ლარის ოდენობით (საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის ჩათვლით) თანხის ჩარიცხვა.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 „უნივერსიტეტი“ ვალდებულია:

3.1.1 სტუდენტებზე სტიპენდიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს შემდეგი სავალდებულო კრიტერიუმების/მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) დაუშვებელია სტიპენდიის მისაღებად კონკურსში იმ სტუდენტის მონაწილეობა, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი;

ბ) სტუდენტს სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის პროცესში დაგროვებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 30 (ოცდაათი) აკადემიური კრედიტი და მისი საშუალო სარეიტინგო ქულა არ უნდა იყოს 81-ზე ნაკლები;

გ) უპირატესობა მიანიჭოს უფრო მაღალი ქულების მქონე სტუდენტს;

დ) სტიპენდიის გაცემისას უპირატესობა მიანიჭოს იმ სტუდენტებს, რომლებსაც წარდგენილი აქვთ სამეცნიერო ნაშრომი საუნივერსიტეტო კონფერენციაზე და დაიმსახურეს მაღალი შეფასება;

ე) სტუდენტმა უნდა წარადგინოს პროგრამის ხელმძღვანელის სარეკომენდაციო წერილი.

3.1.2 სტუდენტზე სტიპენდიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს არაუგვიანეს 2023 წლის 24 ნოემბრამდე.

3.1.3 სტუდენტზე სტიპენდიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში აცნობოს გადაწყვეტილება ცენტრს.

3.1.4 ცენტის მიერ სტიპენდიის თანხის ჩარიცხვიდან 10 დღის ვადაში გასცეს სტიპენდიის თანხა სტუდენტებზე და სტიპენდიის გაცემიდან 5 დღის ვადაში, მიაწოდოს სტიპენდიით გათვალისწინებული თანხების გაცემის შესახებ დოკუმენტაცია ცენტრს.

3.1.5 ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე, ცენტრის ანგარიშზე დააბრუნოს გადარიცხული თანხის ის ნაწილი, რომელიც არ გაიცა სტუდენტებზე სტიპენდიის სახით.

3.2 „უნივერსიტეტი“ უფლებამოსილია:

3.2.1 მოითხოვოს ცენტრისგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვა.

3.2.2 მოითხოვოს ცენტრისგან მასთან ჩარიცხული თანხების შესახებ დეტალური ინფორმაცია.

3.3 „ცენტრი“ ვალდებულია:

3.3.1 ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები.

3.3.2 უნივერსიტეტის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მოწოდებიდან 5 დღის ვადაში უზრუნველყოს 3 000 ლარის გადარიცხვა ხელშეკრულების მე-8 მუხლში მითითებულ უნივერსიტეტის ანგარიშზე.

3.3.3 უნივერსიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებლობის ფარგლებში, უზრუნველყოს სტუდენტების სტაჟირების გავლა ცენტრში ან/და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის უწყებებში.

3.4 ცენტრი უფლებამოსილია:

3.4.1 უფლებამოსილია მოსთხოვოს უნივერსიტეტს ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება.

3.4.2 უფლებამოსილია მოითხოვოს სტიპენდიით გათვალისწინებული თანხების გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა და დაუძლეველი ძალა

4.1 მხარეები ვალდებულები არიან, კეთილსინდისიერად და სრულად, ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით, შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
4.2 მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობასა და არაჯეროვნად შესრულებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
4.3 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული ან/და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.
4.4 „დაუძლეველი ძალის" ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ და რომელთა გათვალისწინება მხარეებს არ შეეძლოთ წინამდებარე ხელშეკრულების დადების დროს, ასევე რომელთა დადგომა, ზემოქმედების თავიდან აცილება და გადალახვა მხარეებს არ ხელეწიფებოდათ, კერძოდ: წყალდიდობა, დიდთოვლობა, მიწისძვრა, აფეთქებები, ხანძარი, ავარია, ემბარგო, ომი და საომარი მოქმედებები, ბლოკადა, გაფიცვები, კანონმდებლობის ცვლილებები, რომლებიც აუარესებენ წინამდებარე ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივ სტატუსსა და რეჟიმს და სხვა გარემოებები.
4.5 ამ მუხლის 4.4 პუნქტით გათვალისწინებული დაუძლეველი ძალის მოქმედების მთელ პერიოდში, მხარეები მიიღებენ ყველა აუცილებელ ზომას, მაქსიმალურად შეამცირონ ის დრო, რომლის განმავლობაშიც შეფერხებულია ვალდებულებ(ებ)ის შესრულება.
4.6 მხარე, რომელიც მიუთითებს დაუძლეველი ძალის გარემოებაზე თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან იმ ფარგლებში, რომლებშიც მას ხელი შეუშალეს დაუძლეველი ძალით გამოწვეულმა გარემოებებმა. ამასთან, იგი არ თავისუფლდება ამ ხელშეკრულების იმ სხვა ვალდებულებათა შესრულებისგან, რომელთა შესრულებასაც ხელს არ უშლის დაუძლეველი ძალით გამოწვეული გარემოებები.
4.7 თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 (ოცდაათი) დღეზე მეტ ხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულების ბედი; თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავა განიხილება წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 5. დავის გადაწყვეტის წესი

5.1 მხარეები ადგენენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა პრეტენზია განხილული უნდა იქნეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, მხარის მიერ პრეტენზიის წერილობითი ფორმით მიღების დღიდან.
5.2 ყველა დავა და უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, წყდება მხოლოდ მხარეთა შორის მოლაპარაკების შედეგად. იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკების შედეგად შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, მაშინ მხარეთა შორის დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2023 წლის 28 დეკემბრის ჩათვლით.
6.2 წინამდებარე ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება მოიშალოს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.
6.3 თითოეულ მხარეს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება ამ მუხლით გათვალისწინებული წესის დაუცველად თუ მეორე მხარე არღვევს დაკისრებულ მოვალეობებს და შესაბამისმა მხარემ განუსაზღვრა მას გონივრული ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო დამრღვევმა მხარემ ვერ უზრუნველყო დადგენილ ვადაში დარღვევის გამოსწორება.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1 მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულებაში შესაძლოა შევიდეს ცვლილება ან დამატება. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ მაშინ თუ იგი შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.
7.2 თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება გახდება ბათილი, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები იმოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.
7.3 ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები სარგებლობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7.4 მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულებისათვის, მხარეებმა შეიძლება დანიშნონ თავიანთი წარმომადგენლები, რომლებიც კოორდინაციას გაუწევენ ხელშეკრულებით განსაზღვრული საკითხების გადაწყვეტას.
7.5 მხარეები ვალდებულნი არიან იხმარონ ყველა ღონე, რათა ხელშეკრულების მოშლის შედეგად არ მიაყენონ ერთმანეთს მატერიალური ზიანი.
7.6 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

მუხლი 8. მხარეთა რეკვიზიტები:

სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“
მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის N32გ
საიდენტიფიკაციო კოდი: 206351730
ტელ.: (032) 2 11 20 23
ელ. ფოსტა: info@eiec.gov.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მისამართი: 35/32 ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა, 6010, ბათუმი, საქართველო
საიდენტიფიკაციო კოდი: 245428158
ტელ: +995 577 61 05 86
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
ბანკის კოდი - TRESGE 22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი -709017509

თამარ ალადაშვილი, დირექტორი

პროფ. მერაბ ხალვაში, რექტორი